ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 6

ქ. თბილისი 29 იანვარი 2016 წელი

ერთი მხრივ, **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი გამგებლის ბესიკ წიკლაურის სახით და მეორე მხრივ, **ს/ს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ დეკენოსიძისა და ფინანსური დირექტორის რამაზ ხვიჩიას სახით, დებენ წინამდებარე „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-"ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **<u>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების</u> /66514110-CPV/ შესყიდვა, დანართი N1-ის შესაბამისად.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. კარტალური გადასახდელი თანხა შეადგენს 1225 (ათას ორას ოცდახუთი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. დაფინანსების წყარო - ადგილობივი ბიუჯეტი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან პირველი გადახდა განხორციელდება არაუგვიანეს 2016 წლის 29 მარტისა.

4.2. წინასწარ ანგარიშსწორება განხორციელდება გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

4.3 საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების დასრულების საბოლოო ვადას.

4.4 საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განხორციელდება შესაბამისი თანხის გადახდა.

4.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

4.6. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია, სადაზღვევო შენატანის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში გადასცეს ინფორმაცია სს "კრედიტინფო საქართველოს".

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1.მიმწოდებელი მომსახურებას განახორციელებს 2016 წლის 29 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურების გაწევა და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებელებების ჯეროვანი შესრულება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.2.2 მიმწოდებელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სადაზღვევო ინტერესებთან დაკავშირებით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 შემსყიდველს გაუწიოს მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება;

7.4.2 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო პირობების შესაბამისად უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ზიანის ანაზღაურება.

7.4.3 ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - მზია ადუაშვილი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.

9.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.5 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი დაარღვევს სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდის ვალდებულებას, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ფულადი სახით დავალიანების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის

ადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს შემსყიდველს ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

10.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

10.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.8.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს - მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12. კონფიდენციალურობა

12.1. შემსყიდველსა და მიმწოდებელს ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია ან/და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, მიუხედავად მათი წერილობითი ან ზეპირი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მორიგების ხელშეწყობის მიზნით მიმართავენ „სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციას" „დაზღვევის მედიციას" სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეოით ნომერზე" 2555 155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacal@insurance.org.ge.

13.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 29 იანვრიდან 2017 წლის 31 იანვრამდე.

18. რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
თვითმმართველი თემი თეთრიწყაროს	სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“
მუნიციპალიტეტი	მის: ქ. თბილისი0160, ბოჭორიშვილის ქ. N88/15
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34	ს/კოდი: 205023856
ს/კოდი: 230869254	ა/ა GE70BR0000003608104958
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს "ბანკი რესპუბლიკა"
ა/აGE24NB0330100200165022	ბანკის კოდი REPLGE22
კოდი TRESGE22	ელ-ფოსტა: office@irao.ge
ელ-ფოსტა: nantelava@tetritskaro.ge	ტელ: 599 74 10 50
ტელ: (+995 32) 949 949; ფაქსი (+995 32) 369392	

ბესიკ წიკლაური
გამგებელი

ვახტანგ დევენოსიძე
გენერალური დირექტორი

რამაზ ხვიჩია
ფინანსური დირექტორი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

საქართველო, თბილისი 0160
ბოჭორიშვილის ქ. № 88/15
ტელ. +995 (32) 2 949 949
ფაქსი +995 (32) 2 36 93 92
office@irao.ge • www.irao.ge

88/15, Bochorishvili str.
0160 Tbilisi, Georgia
Tel. +995 (32) 2 949 949
Fax +995 (32) 2 36 93 92
office@irao.ge • www.irao.ge

IRAO VIENNA INSURANCE GROUP

სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის პოლისი № MI 52890/16
Motor Transport Insurance Policy

წინამდებარე პოლისი, ირაო-ს ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები და ავტოტრანსპორტის დაზღვევის განაცხადი წარმოადგენს ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას

1	დამზღვევი **Policyholder / Insured**	თვითმმართველი თემი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.მისამართი: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. #34 ტელ: 551877755
2	მოსარგებლე **Beneficiary**	თვითმმართველი თემი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.მისამართი: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. #34 ტელ: 551877755
3	დაზღვეული ავტომობილების მონაცემები **Date about Insured Vehicle**	სულ 11 ავტოსატრანსპორტო საშუალება – პოლისი № **MI 52890/16-ის** დანართი №1–ის მიხედვით
4	სადაზღვევო რისკები **Risks Insured**	ნაწილი I - კასკო (HL): ავტომობილის გარეგანი დაზიანება / სრული განადგურება გამოწვეული: ავტოსაგზაო შემთხვევით, სტიქიური უბედურებებით, ხანძრით, მეხის დაცემით, აფეთქებით, ვანდალიზმით, სხვადასხვა საგნების დაცემით, ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით, ცალკეული დეტალებისა და აქსესუარების დაზიანება ან ქურდობა; ნაწილი II - მე-3 პირთა წინაშე პასუხისმგებლობა (ნებაყოფლ.) (TPL): ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და/ან ქონებაზე დამდგარი ზიანი
5	ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება **Market Velue of Vehicle**	ჯამში – 174200(ასსამოცდა თოთხმეტი ათას ორასი)ლარი, თითოეული ავტომობილისათვის – პოლისი № **MI 52890/16-ის** დანართი №1–ის მიხედვით
6	უფლებამოსილი მძღოლები **Authorized Drivers**	თვითმმართველი თემი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა ის თანამშრომელი, რომლის ასაკი აღემატება 26 წელს, ფლობს შესაბამისი კატეგორიის მოქმედ მართვის მოწმობას და გააჩნია მართვის მინ. 6 წლიანი გამოცდილება
7	სადაზღვევო თანხა **Total Sum Insured**	ნაწილი I ჯამში – 174200 (ასსამოცდა თოთხმეტი ათას ორასი)ლარი, თითოეული ავტომობილისათვის – პოლისი № **MI 52890/16-ის** დანართი №1–ის მიხედვით ნაწილი II ჯამში - 55000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი)ლარი, თითოეული ავტომობილისათვის - 5000(ხუთი ათასი) ლარი, პოლისი № MI 52890/16-ის დანართი №1–ის მიხედვით
8	უპირობო ფრანშიზა **Unconditional Deductible**	ნაწილი I - კასკო (HL): ზიანის 5% მინ. 200 აშშ დოლარი, სრული განადგურების შემთხვევაში სადაზღვევო თანხის 10%.გაჩერებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუდგენელ ვითარებაში ან დაუდგენელი პირის მიერ დაზიანების შემთხვევაში 150.00 აშშ დოლარი, ნაწილი II - მე-3 პირთა წინაშე პასუხისმგებლობა (ნებაყოფლ.) (TPL): ნულოვანი
9	ჯამური სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი **Insurance Premium and Terms of Payment**	4900 (ოთხიათას ცხრაასი)ლარი პრემიის გადახდა ხორციელდება ოთხჯერადათ , შემდეგი გრაფიკის მიხედვით: 1. 29.03.2016 1225 (ათასორასოცდახუთი)ლარი 2. 29.06.2016 1225 (ათასორასოცდახუთი)ლარი 3. 29.09.2016 1225 (ათასორასოცდახუთი)ლარი 4. 29.12.2016 1225 (ათასორასოცდახუთი)ლარი
10	დაზღვევის ტერიტორია **Coverage Area**	საქართველო
11	დაზღვევის პერიოდი **Insurance Period**	29.01.2016 – 30.12.2016
12	პოლისის გაცემის ადგილი და თარიღი **Place and Date of Policy Issue**	ქ. თბილისი, 29 იანვარი 2016 წელი
13	პოლისის გაცემის საფუძველი **Basis of Policy Issue**	მხარეებს შორის 2016 წლის 29 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება 09331/16, და ავტომობილის დაზღვევის პირობები № 09331/16
14	შენიშვნა Note	დამატებითი დაფარვა: მინის დაზიანება , დაზიანება სურათების მიხედვით

მზღვეველი / **Insurer**

ხელმოწერა / **Signature** ბ.ა. / **Seal**

დამზღვევი / **Policyholder**

წინამდებარე პოლისზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ სადაზღვევო პირობებს გავეცანი და ვეთანხმები

ხელმოწერა / **Signature** ბ.ა. / **Seal**

ფ-პა-13-ბ-03

დაზღვევის ანკეტა - განაცხადის დანართი

ალდაგი
ჩვენი სადაზღვევო ჯგუფი

საჯარო სამართლის სუბიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები

1	სრული სახელწოდება	თვითმმართველი თემი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
2	საქმიანობის საგანი	გამგეობა
3	ივრიდიული/ფაქტობრივი მისამართი	ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34
4	ტელ. ნომერი, ელ. ფოსტა	551877755 / gamgeoba@tetritskaro.ge
5	მარეგისტრირებელი ორგანო	სახელმწიფო
6	იურიდიული პირის საბანკო რეკვიზიტები:	
6.1	მომსახურე ბანკი	საქართველოს ეროვნული ბანკი
6.2	ა/ა	GE24NB0330100200165022
6.3	ბანკის კოდი	TRESGE22
7	შევსების თარიღი	29,01,2016

* სავალდებულო დოკუმენტები (ასლი) - რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი , შესაბამისი ორგანოს დადგენილება/ბრძანება მისი შექმნის შესახებ, ბრძანება ხელმძღვანელი პირის დანიშვნის შესახებ, პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელმძღვანელის პირადობის მოწმობა/პასპორტი, წარმომადგენელი / ხელისმომწერი პირის (თუ ხელმძღვანელისგან განსხვავებული პირია) პირადობის მოწმობა / პასპორტი და მინდობილობა .

კლიენტი ვალდებულია აცნობოს სადაზღვევო კომპანიას რაიმე სახის ცვლილების შესახებ.

შენიშვნა: ამ განაცხადის შევსების ან სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე დაუშვებელია პირისათვის პოლისის ან შესაბამისი დოკუმენტის გადაცემა

უფლება მოსილი პირის ხელმოწერა

TETRITSKARO MUNICIPALITY ADMINISTRATION
* 230869254 *

ალისი №----------ის დანართი №1

ტოტსატრანსპორტო საშუალებების მონაცემები

ფ-პა-04-01-თ-01

	მარკა	მოდელი	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	საიდენტიფიკაციო კოდი	ტქმ. პასპორტის ნომერი	ტქმ. პასპორტის გაცემის თარიღი	საბაზრო ღირებულება (ვალუტა)	საფასო ზღვარი თანხა (ვალუტა)	მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის ლიმიტი (ვალუტა)	მძღოლისა და მგზავრების უმეტესი შემთხვევისგან დაზღვევის ლიმიტი ერთ ავტომობილზე (ვალუტა)	მძღოლისა და მგზავრების უმეტესი შემთხვევისგან დაზღვევის ლიმიტი ერთ პირზე (ვალუტა)
	LEXSUS	GX 470	2004	SP0795S	JTJBT20X140057321	AL 5007709	10.07.2015	45000 ლარი	45000 ლარი	5000 ლარი		
	MITSUBISHI	L 200	2009	APA 214	MMBJNKB409F004077	AL 1776860	18,02,2014	24500 ლარი	24500 ლარი	5000 ლარი		
	TOYOTA	RAV 4	2001	XX 788 WW	JTEHH20V626031025	AL 5002774	10,07,2015	15000 ლარი	15000 ლარი	5000 ლარი		
	MERCEDES BENZ	C 180	1994	IID 505	WDB2020181A181082	HH 0025657	07,12,2006	2500 ლარი	2500 ლარი	5000 ლარი		
	HONDA	CR-V	2000	XX 784 WW	JHLRD1764YS011842	AL 5007692	10,07,2015	10400 ლარი	10400 ლარი	5000 ლარი		
	TOYOTA	RAV 4	2003	XX 786 WW	JTEHH20V130243996	AL 5004764	10,07,2015	15000 ლარი	15000 ლარი	5000 ლარი		
	HONDA	CR-V	2000	XX 785 WW	JHLRD176X1S001810	AL 5005704	10,07,2015	10400 ლარი	10400 ლარი	5000 ლარი		
	TOYOTA	RAV 4	2003	XX 782 WW	JTEHH20V000267685	AL 5004690	10,07,2015	15000 ლარი	15000 ლარი	5000 ლარი		
	MITSUBISHI	PAJERO 3500	1998	KYK 952	შასის #V254403303	AV 7970616	19,03,2012	5000 ლარი	5000 ლარი	5000 ლარი		
	TOYOTA	CAMRY	2008	FFO041	4T1BE46K29U289328	AL2883335	12.08.2014	21000 ლარი	21000 ლარი	5000 ლარი		
	HONDA	CR-V	2001	XX 783 WW	JHLRD17641S008946	AL 5005698	10,07,2015	10400 ლარი	10400 ლარი	5000 ლარი		
ამი								174.200 ლარი	174.200 ლარი	55000 ლარი		

ბლეველი

დამტკიცებული